

თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 36

„07“ ივნისი 2016 წელი


„თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 მარტის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

1. „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 მარტის №15 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხით თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაფინანსდეს თანდართული ინფრასტრუქტურული პროექტები.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე  პაატა გიორგობიანი



სოფლის მხარდაჭერის პროგრამა				
N	სოფლის დასახელება	სამუშაო	სახელმწიფო დაფინანსება ათ.ლარი	ადგილობრივი თანადაფინანსება ათ.ლარი
1	ვანთა	მინი სტადიონის მოწყობა	80 000	
2	ბუშეთი	საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	35 000	
3	ბუშეთი	ბიბლიოთეკისათვის ოთახების შეკეთება	5 000	
4	ბუშეთი	სასმელი წყლის შიდა საუბნო ქსელის მოწყობა	25 000	
5	წინანდალი	საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	84 831	9 740
6	კონდოლი	სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია	15 697	2 000
7	შალაური	საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის გაგრძელება	22 000	
8	შალაური	სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია	115 555	
9	კურდღელაური	საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის გაგრძელება	17900	
10	კურდღელაური	ადმინისტრაციულ შენობაში ამბულატორიისთვის ოთახების შეკეთება	38 000	
11	გულგულა	მინი სტადიონის მოწყობა	20 000	
12	ვარდისუბანი	კულტურის სახლის შენობაში სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია	24 000	21 000
13	თეთრიწყლები	შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია	6 000	
14	ყარაჯალა	გარე-განათების მოწყობა	10 000	
15	რუისპირი	გარე-განათების მოწყობა	7 996	
16	რუისპირი	კულტსახლის რეაბილიტაცია	70 000	
17	იყალთო	მკლავჭიდის დარბაზის მოწყობა	25 000	
18	ნაფარეული	საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის გაგრძელება	20 765	13 000
19	ლაფანყური	საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის გაგრძელება	10 000	13 000
20	სანიორე	ძალოსნობის დარბაზის მოწყობა	73 999	21 000
21	ჯულაანი	შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია	15 000	
22	ჯულაანი	სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია	5 000	
23	ართანა	საბავშვო ბაღში ოთახების შეკეთება და ინვენტარის შეძენა	20 000	

24	ფშაველი	საბავშვო ბაღის მშენებლობის გაგრძელება	100 000	
25	ლალისყური	ტრენაჟორებისთვის დარბაზის მოწყობა	10 000	
26	კურდღელაური	გარე განათების მოწყობა ე.წ ყოფილი სტალინის ქუჩაზე	5000	1000
27	კონდოლი	ცენტრალური საავტომობილო გზის ორმოული შეკეთება	33 000	7000
28	სეროდანი- პანტიანი	სოფლების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მოხრეშვა	15 000	5000
29	კისისხევი	საბავშვო ბაღის შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია	20 000	5 000
30	კისისხევი	არსებული სკვერის შემოღობვა	18 253	1747
31	ლალისყური	სასაფლაოსკენ მიმავალი გზის მოხრეშვა	14 000	1000
32	სულ ჯამი		961.996	79.74

საკრებულოს თავმჯდომარე *ს. კორძაია* პაატა გიორგობიანი

